პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

მსოფლიო პრაქტიკა

სექტემბერი / 2023

მთავარი სიახლეები

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (“ECtHR”) საქმეზე: “N.F. and Others v. Russia”, მონაცემთა უკანონო დამუშავების საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო

ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველმა — პროფ. დოქტ. ვოიჩეკ ვიევიოროვსკიმ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (“GDPR”) შესაძლო რეფორმასა და ხელოვნური ინტელექტის რეგულაციის მომავალზე ისაუბრა

„მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ გადაწყვეტილების შემდეგ, ბავშვების მიმართ არასამართლიანი დიზაინის პრაქტიკის აღმოფხვრის შესახებ “TikTok”-ს შესაბამისი მითითება მიეცა

„ჭკვიანი სახლის“ მოწყობილობები (“Smart Home Devices”) და პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ“ დირექტივით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენება დაუშვებელია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დასადგენად

02.09.2023

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (“CJEU”) გადაწყვეტილების თანახმად, „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ დირექტივა გამორიცხავს საჯარო სექტორში კორუფციის ადმინისტრაციული წესით საქმის მოკვლევასთან დაკავშირებით, მძიმე დანაშაულთან ბრძოლის მიზნით შეგროვებული მონაცემების გამოყენებას.[1] ამასთან, დირექტივა მხოლოდ სისხლისსამართლებრივ დევნას შეეხება.

ფაქტობრივი გარემოებები:

ლიეტუვას გენერალური პროკურატურიდან პროკურორი ბრალდებულისა და მისი ადვოკატისთვის წინასწარი გამოძიების დროს ინფორმაციის უკანონოდ მიწოდების გამო გათავისუფლდა. სამსახურიდან გათავისუფლებულმა პროკურორმა აღნიშნული გადაწყვეტილება ლიეტუვას სასამართლოებში გაასაჩივრა.

პროკურორის წინააღმდეგ სამსახურებრივი გადაცდომა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლების მიერ შენახული მონაცემების საფუძველზე დადგინდა. სახდელდადებული პროკურორის განმარტებით, იმ მონაცემთა გამოყენება, რომელიც საშუალებას იძლევა, სამსახურებრივ გადაცდომასთან დაკავშირებულ საქმეებში ეჭვმიტანილის სტაციონალური ან მობილური ტელეფონიდან დადგინდეს სატელეფონო კომუნიკაციების წყარო და შინაარსი, წარმოადგენს ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილ ფუნდამენტურ უფლებებში გაუმართლებელ ჩარევას.

ფოტო: european-union.europa.eu

“CJEU”-ს პრეცედენტული სამართალი ადგენს, რომ მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, გამართლებულია „ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის“ მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ

[1] იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ვებგვერდი: <https://curia.europa.eu/jcms/upload/docs/application/pdf/2023-09/cp230135en.pdf>.

უფლებებში ჩარევა. ლიეტუვას უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ, რომელსაც წარედგინა საჩივარი, მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, რათა დაედგინა, თუ რამდენად თავსებადია „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ დირექტივასთან:

- სამსახურებრივ კორუფციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული გადაცდომის დადგენის მიზნით, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლების მიერ ელექტრონულ კომუნიკაციებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების შენახვა;
- მძიმე დანაშაულთან ბრძოლის მიზნით შენახულ მონაცემებზე კომპეტენტური ორგანოებისთვის წვდომის უზრუნველყოფა.

ფოტო: cookie-script.com

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებები და მიღებული გადაწვეტილება:

2023 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით, “CJEU”-მ დაადგინა, რომ აღნიშნული დირექტივა გამორიცხავს საჯარო სამსახურში კორუფციის ფაქტების დადგენის მიზნით, ელექტრონულ კომუნიკაციებთან დაკავშირებული იმ პერსონალური მონაცემების გამოყენებას, რომლებიც ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლების მიერ ინახებოდა და შემდგომში მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, ხელმისაწვდომი გახდა კომპეტენტური ორგანოებისთვის.

სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ კანონმდებლობა შესაძლებელია, ითვალისწინებდეს:

- „ინტერნეტ ტრაფიკისა“ და მდებარეობის განმსაზღვრელი მონაცემების მიზანმიმართულ შენახვას, რომლის გამოყენება შეზღუდულია ობიექტური და არადისკრიმინაციული ფაქტორებით დაინტერესებული პირების კატეგორიების მიხედვით ან გეოგრაფიული კრიტერიუმის გათვალისწინებით და ინახება მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად;
- ინტერნეტ კავშირის წყაროსთვის მინიჭებული IP მისამართების ზოგად და განურჩეველ შენახვას მკაცრად აუცილებელი შეზღუდული დროით;
- ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემების მომხმარებელთა „სამოქალაქო კუთვნილებასთან“

("Civil Identity") დაკავშირებული მონაცემების ზოგად და განურჩეველ შენახვას;

- ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლებისთვის ინსტრუქციით მიმართვას და მოთხოვნას, განსაზღვრული დროის ფარგლებში უზრუნველყოფილ იქნას „ინტერნეტ ტრაფიკის" და მდებარეობის განმსაზღვრელი მონაცემების დაჩქარებული წესით შენახვა. აღნიშნული მიმართვა შეიძლება, განახორციელოს შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ და ექვემდებარება ეფექტიან სასამართლო კონტროლს.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, მხოლოდ მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის სერიოზული საფრთხის არიდების მიზნით მიღებული ღონისძიებების საფუძველზე, გამართლებულია ამგვარი ჩარევა ისეთ ფუნდამენტურ უფლებაში, როგორიცაა „ინტერნეტ ტრაფიკისა" და მდებარეობის განმსაზღვრელი მონაცემების შენახვა.

აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო ინტერესების შესახებ არსებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, ეროვნული უსაფრთხოების დაცვა გადაწონის მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის სერიოზული საფრთხის პრევენციას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მძიმე დანაშაულთან ბრძოლასა და საზოგადოებისთვის სერიოზული საფრთხის თავიდან არიდებას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე, ზოგადად, დანაშაულთან ბრძოლას.

სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, „ინტერნეტ ტრაფიკის" და მდებარეობის განმსაზღვრელი მონაცემები, რომლებიც პროვაიდერების მიერ „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" დირექტივის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების შესაბამისად ინახება და ხელმისაწვდომია კომპეტენტური ორგანოებისთვის მძიმე დანაშაულთან ბრძოლის მიზნით, არ შეიძლება, შემდგომში გადაეცეს სხვა ორგანოებს და გამოყენებულ იქნას კორუფციასთან დაკავშირებული სამსახურებრივი გადაცდომების დასადგენად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (“ECtHR”) საქმეზე: “N.F. and Others v. Russia”, მონაცემთა უკანონო დამუშავების საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო

12.09.23

ფოტო: coe.int

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: “N.F. and Others v. Russia”,[2] შეეხება რუსეთის ფედერაციის ცხრა მოქალაქეს, რომლებმაც პრეტენზია გამოთქვეს რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით. დამუშავებული მონაცემი შეწყვეტილ სისხლისსამართლებრივ სამართალ-წარმოებასა და სასამართლოს მიერ გაუქმებულ სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას შეეხებოდა.

✅ ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის ფაქტობრივი გარემოებები ეხება რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სისხლის სამართლის საქმესა და მომჩივნების ნასამართლობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავებას. მომჩივნების წინააღმდეგ, სხვადასხვა დროს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეებზე, რომელთაგან ზოგიერთი საქმე შეწყდა მარეაბილიტირებელ საფუძველზე დაყრდნობით. სისხლის-სამართლებრივი პროცესის შეწყვეტის განმაპირობებელი ფაქტი შეიძლება, ყოფილიყო ამინისტია ან „გარიგება“, ასევე, ზოგიერთ შემთხვევებში, გამამტყუნებელი განაჩენი. აღნიშნულ მონაცემებს, შემდგომში, რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტრო განუსაზღვრელი ვადით ინახავდა.

დროთა განმავლობაში მომჩივანთა ნასამართლობა გააუქმა სასამართლომ ან ზოგიერთ შემთხვევაში — გაქარწყლდა ბრალი, რაც გულისხმობდა პირის ნასამართლეობის უქონლობას სამართლებრივი თვალსაზრისით. მომჩივნებმა მოითხოვეს ნასამართლობის ცნობები სამინისტროსგან, რომლებიც დაადასტურებდა ნასამართლობის არქონას, სისხლისსამართლებრივი დევნის ან სისხლისსამართლებრივი გამოძიების შეწყვეტას. ზოგიერთი

[2] საჩივრის ნომერი 3537/15, 12.09.2023, იხ. ელექტრონული ბმული: <https://hudoc.echr.coe.int/?i=001-226467>.

მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მათი დასაქმება ვერ ხერხდებოდა ნასამართლობის შესახებ მონაცემების გამო.

აღსანიშნავია, რომ მომჩივნებმა მიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა მომხდარიყო სისხლის სამართლის საქმის მასალების წაშლა-განადგურება, რაზეც სამინისტრომ უარი განაცხადა. აღნიშნულმა განაპირობა მომჩივნების მიერ სამართალწარმოების დაწყება რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ, რომლის ფარგლებშიც ამტკიცებდნენ, რომ მათი მონაცემების დამუშავება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათი ნასამართლობა ან სისხლისსამართლებრივი დევნა შეჩერებული ან გაქარწყლებული იყო, უკანონო ქმედებას წარმოადგენდა.

რუსეთის ფედერაციის ეროვნულმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მომჩივანთა საჩივრები, რაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით, საპოლიციო კანონითა და სამინისტროს ბრძანებებით დაასაბუთეს. ასევე, სასამართლოებმა დაადგინეს, რომ შესაბამისი მონაცემების შენახვა აუცილებელი იყო, ხოლო სამინისტროს მიერ ამ მონაცემების წაშლაზე უარის თქმას არ დაურღვევია მომჩივანთა უფლებები. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ შიდა საკანონმდებლო ბაზა ადეკვატურად არ იცავდა მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას და რომ მათი მონაცემების დამუშავება არაპროპორციული იყო, გარანტიების არარსებობისა და მონაცემთა შეგროვებისა და შენახვის ფართო სპექტრის გათვალისწინებით.

საჩივრები:

მომჩივანმა მხარემ განაცხადა, რომ სამინისტროს მიერ მათი პერსონალური მონაცემების დამუშავება, რომელიც დაკავშირებულია შეწყვეტილ სისხლისსამართლებრივ სამართალ-წარმოებასთან ან სისხლისსამართლებრივ მსჯავრდე-ბებთან, რომლებიც გაქარწყლდა ან გააუქმა სასამართლომ, არღვევდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. აღნიშნული დარღვევა კი ეწინააღმდეგებოდა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტს. კერძოდ, შიდა კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს აღნიშნული მონაცემების დამუშავებას, არ ითვალისწინებდა სათანადო გარანტიებს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით, ასევე, მინისტრის ბრძანება, რომელიც ადგენდა ამგვარი მონაცემების შენახვის პროცედურასა და ვადებს, იყო გასაიდუმლოებული და არ იყო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, ჩარევა არ წარმოადგენდა „აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში“ შემდეგი მიზეზების გამო:

- მონაცემთა შენახვის სისტემის გადაჭარბებული მასშტაბი არ ითვალისწინებდა რაიმე განსხვავებას დანაშაულის ბუნებისა და სიმძიმის ხარისხის მიხედვით;
- აღნიშნული სისტემა ერთმანეთისგან არ განასხვავებდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც მონაცემთა სუბიექტი დამნაშავედ იქნა ცნობილი ან გათავისუფლდა;
- მონაცემები ინახებოდა ზედმეტად ხანგრძლივი ვადით (მონაცემები ინახებოდა იქამდე, ვიდრე მონაცემთა სუბიექტი ოთხმოცი წლის ასაკს მიაღწევდა);
- არ არსებობდა ეფექტიანი გადახედვის პროცედურა, რომლითაც შეფასდებოდა შენახვის გაგრძელების აუცილებლობა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება:

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ("ECtHR") მომჩივნების სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ რუსეთის ფედერაციამ დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლი, რომელიც იცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.

გადაწყვეტილების ძირითადი პუნქტებია:

1. **პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა:** "ECtHR"-მა დაადგინა, რომ მომჩივნების პერსონალური მონაცემების დამუშავება, რომელიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის პროცესის შეწყვეტასთან, გაუქმებასთან ან გაქარწყლებულ სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებასთან, უტოლდება მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას, რომელიც დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით (პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება). ამდენად, სასამართლომ დასაშვებად ცნო საჩივრები.
2. **ადეკვატური გარანტიების არარსებობა:** სასამართლომ აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაციის შიდა საკანონმდებლო ბაზა არ ითვალისწინებს საკმარის გარანტიებს პერსონალური მონაცემების დამუშავებისას უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამინისტროს შესაბამისი ბრძანებები, რომლებიც არეგულირებს მონაცემთა დამუშავებას, იყო საზოგადოებისთვის მიუწვდომელი, რაც იწვევს შეშფოთებას გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით.
3. **მონაცემთა დამუშავების ფართო მასშტაბი და მონაცემთა ავტომატური შეგროვება:** ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არსებული მონაცემთა შენახვის სისტემა მოიცავს მონაცემთა ფართო სპექტრს, მათ შორის, ინფორმაციას იმ პირების შესახებ, რომლებიც ექვემდებარებოდნენ

სისხლისსამართლებრივ დევნას ან იყვნენ ნასამართლეობის მქონე. დადგინდა, რომ მონაცემები ავტომატურად გროვდებოდა და ინახებოდა მას შემდეგ, რაც ინდივიდი სისხლისსამართლებრივ დევნას დაექვემდებარებოდა, განურჩევლად დანაშაულის ხასიათისა და სიმძიმისა.

4. **მონაცემთა ხანგრძლივი პერიოდით შენახვა:** სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსაკუთრებით ის მონაცემები, რომელიც ეხება სისხლის სამართლის წესით მსჯავრდებულებს, ინახებოდა ზედმეტად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ზოგჯერ იქამდე, ვიდრე აღნიშნული პირები ოთხმოცი წლის ასაკს მიაღწევდნენ. სასამართლომ დაასკვნა, რომ მონაცემთა გახანგრძლივებული ვადით შენახვა არ იყო აუცილებელი და წარმოადგენდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას.

5. **ეფექტიანი განხილვის პროცედურის არარსებობა:** ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობდა ეფექტიანი განხილვის პროცედურა მონაცემთა შენახვის აუცილებლობის შესაფასებლად. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ინდივიდებს შეზღუდულად შეეძლოთ, გაესაჩივრებინათ მათი მონაცემების მიმდინარე დამუშავება.

6. **მესამე მხარის ინფორმაციაზე წვდომის არაადეკვატური რეგულირება:** სასამართლომ აღიარა, რომ შიდა კანონმდებლობა სათანადოდ არ არეგულირებდა მესამე მხარის მიერ პერსონალურ მონაცემებზე წვდომას. მან დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალების მიმართ, შესაბამისი კონტროლი და უფლების დაცვის გარანტიები არ არსებობდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებით, რომელიც შეეხებოდა სასამართლოს მიერ გაუქმებულ ან გაქარწყლებულ ნასამართლობას, ვერ იქნა დაცული ბალანსი სახელმწიფოსა და ცალკეულ პირთა ინტერესებს შორის. მან დაადგინა, რომ რუსეთის ფედერაციამ გადააჭარბა შეფასების ნებისმიერ მისაღებ ზღვარს. შესაბამისად, აღნიშნული მონაცემების დამუშავება წარმოადგენდა მომჩივნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში არაპროპორციულ ჩარევას.

„მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ გადაწყვეტილების შემდეგ, ბავშვების მიმართ არასამართლიანი დიზაინის პრაქტიკის აღმოფხვრის შესახებ “TikTok”-ს შესაბამისი მითითება მიეცა

15.09.2023

„მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) მიერ მიღებული სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილების შემდეგ[3], ირლანდიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ გამოსცა გადაწყვეტილება, რომლითაც დაადგინა, რომ “TikTok Technology Limited” (შემდგომში — “TikTok”) არღვევს მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციით (შემდგომში — “GDPR”) დადგენილი მონაცემთა დამუშავების სამართლიანობის პრინციპს 13-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვების მონაცემების დამუშავებისას[4].

შემოწმების მიზანი[5] “TikTok”-ის მიერ, 2020 წლის 31 ივლისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში, ბავშვებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე “GDPR”-ით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესწავლა იყო. კერძოდ, საქმე ეხებოდა:

1. “TikTok” პლატფორმის გარკვეულ პარამეტრებს, მათ შორის, პირველად და ე. წ. „ოჯახის დაწყვილების“ ფუნქციასთან დაკავშირებულ პარამეტრებს;
2. ასაკის შემოწმებას, როგორც რეგისტრაციის პროცესის ნაწილს.

შემოწმების ფარგლებში, საზედამხედველო ორგანომ ასევე შეისწავლა “TikTok”-ის გამჭვირვალობის გარკვეული ვალდებულებები, მათ შორის, პირველად პარამეტრებთან დაკავშირებით არასრულწლოვანი მომხმარებლებისთვის მიწოდებული ინფორმაციის მოცულობის საკითხები.

შემოწმების დასრულების შემდგომ, 2022 წლის 13 სექტემბერს, ირლანდიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ, “GDPR”-ის მე-60 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების პროექტი ყველა დაინტერესებულ საზედამხედველო ორგანოს წარუდგინა. აღნიშნული გადაწყვეტილების პროექტის მიხედვით, დარღვევები შეეხებოდა “GDPR”-ის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის “c” და “f” ქვეპუნქტებს, 24-ე

[3] იხ. „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ ვებგვერდი: <https://edpb.europa.eu/our-work-tools/our-documents/binding-decision-board-art-65/binding-decision-22023-dispute-submitted_en>.

[4] იქვე: <https://edpb.europa.eu/news/news/2023/following-edpb-decision-tiktok-ordered-eliminate-unfair-design-practices-concerning_en>.

[5] იხ. ირლანდიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ვებგვერდი: <https://www.dataprotection.ie/en/news-media/press-releases/DPC-announces-345-million-euro-fine-of-TikTok>.

მუხლის პირველ პუნქტს, 25-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებს, მე-12 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-13 მუხლის პირველი პუნქტის "e" ქვეპუნქტს. ფართო კონსენსუსის მიუხედავად, ირლანდიის საზედამხედველო ორგანოს მიერ შეთავაზებული გადაწყვეტილების პროექტი, გარკვეულ ნაწილებში, არ გაიზიარეს იტალიისა და ბერლინის საზედამხედველო ორგანოებმა.

ბერლინის საზედამხედველო ორგანო მოითხოვდა "GDPR"-ის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "a" ქვეპუნქტის — სამართლიანობის პრინციპის დარღვევის აღიარებას „მანიპულაციურ დიზაინთან" ("dark patterns") დაკავშირებით. ხოლო, იტალიის საზედამხედველო ორგანოს აზრით, უნდა შეცვლილიყო ირლანდიის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება "GDPR"-ის 25-ე მუხლთან შესაბამისობის დადგენასთან დაკავშირებით. კერძოდ, ასაკის შემოწმების კონტექსტში. ირლანდიის საზედამხედველო ორგანომ ზემოაღნიშნულ საზედამხედველო ორგანოებთან კონსენსუსს ვერ მიაღწია და "GDPR"-ის 65-ე მუხლით გათვალისწინებული დავების გადაწყვეტის მექანიზმის შესაბამისად, საკითხი განსახილველად "EDPB"-ს გადაუგზავნა. აღნიშნულთან დაკავშირებით "EDPB"-მ, 2023 წლის 2 აგვისტოს, მიიღო გადაწყვეტილება.

ფოტო: icon-icons.com

"EDPB"-ის გადაწყვეტილების მიმოხილვა:

სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილებაში "EDPB"-მ გაანალიზა "TikTok"-ის დიზაინის პრაქტიკა კომპიუტერის ეკრანზე ბანერის სახით გაჩენილი (ე. წ. "pop-up") ორი შეტყობინების კონტექსტში, რომლებიც განკუთვნილი იყო 13-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. კერძოდ, "EDPB"-მ გაანალიზა რეგისტრაციასა და ვიდეოს გამოქვეყნებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ბანერი. შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ორი ბანერით მომხმარებელს ობიექტურად და ნეიტრალურად არ წარედგინებოდა მის არჩევანთან დაკავშირებული ალტერნატივები.

ფოტო: edpb.europa.eu

სარეგისტრაციო ბანერი ბავშვებს უბიძგებდა არჩევანი საჯარო ანგარიშზე გაეკეთებინათ. აღნიშნული კი პლატფორმაზე არასრულწლოვანთა

მიერ გარკვეული მოქმედებების განხორციელებისას, გავლენას ახდენდა მათი პირადი ცხოვრების უფლების დაცვაზე.

ვიდეოს გამოქვეყნების შესახებ ბანერი ბავშვებს უბიძგებდა გაეაქტიურებინათ ღილაკი — „დაუყოვნებლივ გამოქვეყნება“, რომელიც წარმოდგენილი იყო მკვეთრი, მუქი ტექსტით — „გაუქმების“ შესახებ ღილაკისგან განსხვავებით, მას უფრო მკრთალი ფერები ჰქონდა. მომხმარებლებს, რომლებსაც სურდათ, რომ მათი „პოსტი“ პირადი ყოფილიყო, ჯერ უნდა გაეაქტიურებინათ ღილაკი — „გაუქმება“ და შემდეგ მოეძიათ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პარამეტრები „პირად ანგარიშზე“ გადასასვლელად. აღნიშნული მომხმარებლებს უბიძგებდა აერჩიათ ვიდეოს საჯაროობა პირველად პარამეტრად. ამდენად, ბანერზე განთავსებული იყო პირველადი პარამეტრები, რითაც “TikTok” ართულებდა მომხმარებლებისთვის იმგვარი არჩევანის გაკეთებას, რომელიც ხელს უწყობდა მათი პერსონალური მონაცემების დაცვას. გარდა ამისა, სხვადასხვა ვარიანტის თანმდევი შედეგები არ იყო მკაფიოდ განჭვრეტადი, განსაკუთრებით კი ბავშვი მომხმარებლებისთვის. “EDPB”-მ დაადასტურა, რომ მონაცემთა დამმუშავებლებმა არ უნდა გაურთულონ მონაცემთა სუბიექტებს კონფიდენციალურობის პარამეტრების კორექტირება და მონაცემთა დამუშავების შეზღუდვა.

“EDPB”-მ ასევე დაადგინა, რომ აღნიშნული პრაქტიკის შედეგად, “TikTok”-მა დაარღვია მონაცემთა სამართლიანად დამუშავების პრინციპი. შესაბამისად, “EDPB”-მ მიუთითა ირლანდიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს, რომ საბოლოო გადაწყვეტილებაში აესახა დასკვნა აღნიშნული დარღვევის შესახებ და დაავალოს “TikTok”-ს ამგვარი დიზაინის პრაქტიკის აღმოფხვრა.

“EDPB”-მ ასევე შეაფასა, შეესაბამება თუ არა “TikTok”-ის მიერ, 2020 წლის 31 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, გამოყენებული ასაკის გადამოწმების ღონისძიებები “GDPR”-ის 25-ე მუხლის პირველ პუნქტს. “EDPB”-მ სერიოზული ეჭვი გამოთქვა “TikTok”-ის მიერ აღნიშნულ პერიოდში დანერგილი ასაკის გადამოწმების ღონისძიების ეფექტიანობაზე, განსაკუთრებით კი, რისკის სიმძიმის გათვალისწინებით, დაზარალებული ბავშვების დიდი რაოდენობიდან გამომდინარე. “EDPB”-მ დაადგინა, რომ “TikTok”-ის მიერ 13 წლამდე ასაკის ბავშვების პლატფორმაზე წვდომის თავიდან აცილების მიზნით დანერგილი ასაკობრივი ბარიერი შეიძლება ადვილად იქნეს დაძლეული; ხოლო მომხმარებლის მიერ “TikTok”-ზე წვდომის მოპოვების შემდეგ გამოყენებული უსაფრთხოების ზომები არ არის საკმარისად სისტემური.

“EDPB”-მ დაასკვნა, რომ მას არ გააჩნდა საკმარისი ინფორმაცია, რათა საბოლოოდ შეაფასოს აღნიშნული პერიოდის განმავლობაში “TikTok”-ის პრაქტიკის შესაბამისობა “GDPR”-ის 25-ე მუხლის პირველ პუნქტთან. თუმცა, “TikTok”-ის მიერ არჩეული ღონისძიების ეფექტიანობასთან მიმართებით არსებული სერიოზული ეჭვის გათვალისწინებით, “EDPB”-მ ირლანდიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მოსთხოვა, აესახა აღნიშნული საკითხები მის საბოლოო გადაწყვეტილებაში.

“EDPB”-ის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ანუ ტალუსმა განაცხადა: *„სოციალური მედიის კომპანიებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, არ წარუდგინონ უსამართლო არჩევანი მომხმარებლებს, მათ შორის ბავშვებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სახით არჩევანის წარდგენას შეუძლია, უბიძგოს ადამიანებს, მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც არღვევს მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ინტერესებს. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული ვარიანტები მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეწოდოს ობიექტური და ნეიტრალური გზით, ყოველგვარი ტყუილის ან მანიპულაციური ენის/დიზაინის გამოყენების გარეშე. აღნიშნული გადაწყვეტილებით, “EDPB” კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ციფრულ სივრცეში პროდუქტის შემქმნელმა პირებმა უნდა იმოქმედონ განსაკუთრებული სიფრთხილით და მიიღონ ყველა საჭირო ზომა ბავშვების პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული უფლებების დასაცავად.“*

ირლანდიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება:

აღსანიშნავია, რომ ირლანდიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილება მოიცავს “EDPB”-ის სამართლებრივ შეფასებას.

გადაწყვეტილების თანახმად, დადგინდა “GDPR”-ის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის “a”, “c” და “f” ქვეპუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-12 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-13 მუხლის პირველი პუნქტის “e” ქვეპუნქტის დარღვევა.

ირლანდიის საზედამხედველო ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილება, ასევე მოიცავს სამართლებრივ შეფასებას, რომელიც არ ექვემდებარებოდა დაინტერესებული საზედამხედველო ორგანოს მიერ შემდგომ გასაჩივრებას. აღნიშნული მოიაზრებს დასკვნას, რომლის თანახმად, პირველად პარამეტრად ნაგულისხმევი საჯაროობა ეწინააღმდეგება მონაცემთა დაცვის პრინციპებს, მონაცემთა დაცვის

სტანდარტების გათვალისწინების შესახებ ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნისას და მონაცემთა დაცვის პირველად პარამეტრად გათვალისწინების შესახებ ("data protection by design/by default"), ასევე, მონაცემთა მინიმიზაციისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

შედეგად, დამმუშავებელს დაევალა დამუშავების ოპერაციების "GDPR"-თან შესაბამისობაში მოყვანა სამი თვის ვადაში და 345 მილიონი ევროს ოდენობით ჯარიმის გადახდა.

ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველმა — პროფ. დოქტ. ვოიჩეკ ვიევიოროვსკიმ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის ("GDPR") შესაძლო რეფორმასა და ხელოვნური ინტელექტის რეგულაციის მომავალზე ისაუბრა

21.09.2013

"Top in Tech"-ის უახლეს პოდკასტში[6], ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველმა — პროფ. დოქტ. ვოიჩეკ ვიევიოროვსკიმ "GDPR"-ის აღსრულებისა და მისი შესაძლო რეფორმირების, ასევე, მონაცემთა დაცვის შესახებ დისკუსიებზე გენერაციული ხელოვნური ინტელექტის[7] გავლენის და „ხელოვნური ინტელექტის შესახებ აქტის" შესაბამისად, საჯარო სივრცეში სახის ამომცნობი სისტემის გამოყენების აკრძალვის თაობაზე ისაუბრა.

ფოტო: twitter.com

პროფ. დოქტ. ვოიჩეკ ვიევიოროვსკიმ განიხილა შემდეგი ძირითადი საკითხები:

1. ევროპის როლი პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონტექსტში; როგორ იყენებს ევროპა მონაცემთა დაცვის პრინციპებს პრაქტიკაში და

[6] იხ. ელექტრონული ბმული: <https://twitter.com/global_counsel/status/1704792319638089956?s=46&t=w8YrjX-qoD6PHmJ1MxTenw>.

[7] გენერაციული ხელოვნური ინტელექტი არის ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი სახე, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია, შეიქმნას მრავალფეროვანი მონაცემები, როგორიცაა: სურათები, ვიდეოები, აუდიო, ტექსტი და 3D მოდელები. გენერაციული ხელოვნური ინტელექტი არსებული მონაცემებიდან შაბლონების შესწავლითა და შემდეგ ამ ცოდნის გამოყენებით ქმნის ახალ და უნიკალურ შედეგებს. მას შეუძლია უაღრესად რეალისტური და რთული შინაარსის შექმნა. იხ. ელექტრონული ბმული: <https://generativeai.net/>.

როგორ აღასრულებს შესაბამის წესებს;

2. "GDPR"-ის რეფორმირების საჭიროება და აღნიშნული რეფორმის პრიორიტეტები;

3. ხელოვნური ინტელექტის, განსაკუთრებით კი, გენერაციული ხელოვნური ინტელექტის არსი.

ხელოვნურ ინტელექტზე საუბრისას პროფ. დოქტ. ვოიჩეკ ვიევიოროვსკიმ აღნიშნა: *„ჩემი შეკითხვაა, რა არის წესი და რა არის გამონაკლისი? წესი უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილებში სახის ამომცნობი, დისტანციურად სახის ამომცნობი და სხვა ბიომეტრიული სისტემების აკრძალვა. ეს არ ნიშნავს, რომ მე რაიმე საწინააღმდეგო მაქვს ტექნოლოგიასთან, რადგან მე ვხედავ ბევრ საკითხს, რომლის ფარგლებშიც სახის ამოცნობა უნდა დაინერგოს და შეიძლება იქნას გამოყენებული კარგი მიზნებისთვის. აქ პრობლემა არის ის სივრცე, რომელშიც საზოგადოება არ უნდა ელოდებოდეს/არ მოელის, რომ მათ აფასებენ ან ამოიცნობენ."* მან ასევე განაცხადა: *„რა თქმა უნდა, მე უფრო ახლოს ვარ პარლამენტის მიერ შემოთავაზებულ გადაწყვეტილებასთან. თუმცა, ჩვენ კიდევ უფრო შორს მივდიოდით, როდესაც ვამბობდით, რომ სახის ამომცნობი საშუალებები სამართალდამცავმა ორგანოებმაც არ უნდა გამოიყენონ. შესაბამისად, ისინი ასევე ვერ გამოირიცხებიან იმ აკრძალვიდან, რომელიც იარსებებს."*

„ჭკვიანი სახლის" მოწყობილობები ("Smart Home Devices") და პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები

24.09.2023

ფოტო: aerisweather.com

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ჯგუფის მიერ გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებული ბოლოდროინდელი კვლევის მიხედვით, მოწყობილობები, რომლითაც აღჭურვილია ე. წ. „ჭკვიანი სახლები", როგორც დადგინდა, ინდივიდის შესახებ აგროვებენ გაცილებით მეტ პერსონალურ მონაცემს, ვიდრე საჭიროა მათი ფუნქციონირებისთვის.[8]

[8] იხ. ელექტრონული ბმული: <https://www.theguardian.com/world/2023/sep/07/uk-owners-of-smart-home-devices-being-asked-for-swathes-of-personal-data>.

აღნიშნული ნიშნავს, რომ სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა, მაგალითად — „ჭკვიანი ტელევიზორი", შესაძლოა, ინახავდეს ინფორმაციას მომხმარებლის მიერ მისი გამოყენების სიხშირისა და ჩვევების შესახებ, ხოლო მაღალტექნოლოგიურ სარეცხ მანქანას, შესაძლოა, ჰქონდეს ინფორმაცია მომხმარებლის დაბადების თარიღის შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით დადგინდა, რომ შესწავლილი მოწყობილობების უმრავლესობა, მათი ფუნქციის მიუხედავად, აგროვებდნენ ინფორმაციას ზუსტი ლოკაციის შესახებ. არსებობდა, ასევე, იმის მაღალი ალბათობა, რომ მოპოვებული მონაცემები შემდგომში პოტენციურად გაზიარდებოდა სოციალური მედიის ქსელებთან.

აღსანიშნავია, რომ უმსხვილესი კორპორაცია "Amazon"-ის მტკიცებით, იგი არ გადასცემდა მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემებს მესამე პირებს და ზრუნავდა მონაცემების უსაფრთხოებაზე. ასევე, კორპორაცია "Google"-ის განმარტებით, მისი პოლიტიკა შეესაბამება კონფიდენციალობის შესახებ მოქმედ კანონებს და უზრუნველყოფს გამჭვირვალობას მონაცემთა შეგროვებასთან დაკავშირებით. აღნიშნულის მიუხედავად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ჯგუფმა დაადგინა, რომ „ჭკვიანი დინამიკების" მწარმოებელი კომპანია "Bose" მომხმარებლის მონაცემებს უზიარებდა კომპანია "Meta-ს". ხშირ შემთხვევაში, მომხმარებლებს არ ჰქონდათ ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ. კერძოდ, თუ როგორ დამუშავდება მათი პერსონალური მონაცემები „ლეგიტიმური ინტერესების" გათვალისწინებით.

"GDPR"-ის მიხედვით, პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად და გამჭვირვალედ და ამასთან, უნდა შეგროვდეს კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული მონაცემი. თუმცა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ჯგუფი ამტკიცებს, რომ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ოპერაციების დეტალური განმარტება მონაცემთა სუბიექტისთვის, ხშირ შემთხვევაში, ბუნდოვანია. სასურველია, თითოეულმა მონაცემთა სუბიექტმა გაიაზროს მისი პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობა და ახალი „ჭკვიანი მოწყობილობის" შეძენისას, გაეცნონ წესებისა და პირობებს, რაც დაიცავთ მათ მონაცემების არაკანონიერი დამუშავებისგან.

(+ 995 32) 242 1000
office@pdps.ge
www.pdps.ge